ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №36

08 ნოემბერი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. დავით რურუა - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319304101-03, 31.10.2019);**

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03193011-03; 27.10.2019);**

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031931179-03, 07.11.2019).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **მერაბ მამულაშვილი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - დღეს სხდომაზე განვიხილავთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამ მნიშვნელოვან საკითხს, გთხოვთ მომხსენებლებს წარმოადგინოთ პროექტები.

საკითხი 1 – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319304101-03, 31.10.2019):**

გ.თალაკვაძე - მოგესალმებით, გაგაცნობთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შედის ცვლილება, რომელიც განპირობებულია ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გადმოსაცემი ტრანსფერის - **100 000,0 ათასი ლარის** თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

ამასთანავე, ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ვალდებულებების ზრდის გეგმით გათვალისწინებული 74 820,0 ათასი ლარის შემცირებას.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით წარმოდგენილი ცვლილების პროექტით თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა ჯამში იზრდება 25 180,0 ათასი ლარით და განისაზღვრება **1 100 450,8 ათასი ლარის ოდენობით.**

იზრდება:

- ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია – 31 162.2 ათასი ლარით;
- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 5 606,5 ათასი ლარით.

ასევე, იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- ✓ გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში - 187,9 ათასი ლარით;
- ✓ ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 450,0 ათასი ლარით;
- ✓ ღონისძიებები - 1 020,2 ათასი ლარით;
- ✓ დასუფთავების ღონისძიებები – 2 200,0 ათასი ლარით; დაავადებათა სკრინინგი – 400,0 ათასი ლარით;
- ✓ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია – 275,0 ათასი ლარით;
- ✓ ტრანსპლანტაცია – 1 300,0 ათასი ლარით;
- ✓ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება – 495,0 ათასი ლარით;
- ✓ სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარება – 500,0 ათასი ლარით;
- ✓ სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში - 26,1 ათასი ლარით;
- ✓ სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში – 75,0 ათასი ლარით;
- ✓ სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში – 282,0 ათასი ლარით;
- ✓ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება – 240,0 ათასი ლარით;
- ✓ კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში – 25,0 ათასი ლარით;
- ✓ სარეზერვო ფონდი– 1 500,0 ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319304101-03, 31.10.2019)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი 2 - „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03193011-03; 27.10.2019):**

მ.მამულაშვილი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში და მტკიცდება ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ცხელ ხაზზე დაფიქსირებული არაერთი ზარისა და დედაქალაქის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდა რიგი ცვლილებები ავტობუსის (M3 კატეგორია) გარკვეული მარშრუტების სქემებში, მაქსიმალურად მოხდა ქუჩების ათვისება და მარშრუტების დაგრძელება, კერძოდ:

მარშრუტი №4: ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციიდან და მისი ტერიტორიის ნაწილის საფეხმავლოდ გამოყენებიდან გამომდინარე, მარშრუტებს შეეცვალათ მოძრაობის სქემა და ბოლო გაჩერებას ნაცვლად ხაზინის ქუჩისა, განახორციელებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (“ 2-ის მიმდებარედ). შესაბამისად, თავისუფლების მოედნიდან მოძრაობა განხორციელდება შემდეგი სქემით: ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბართაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - მარცხენა სანაპირო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. (№2-ის მიმდებარედ).

მარშრუტი №5: მარშრუტს წყნეთის დასახლებიდან მ/ს „დელისის“ მიმართულებით მოძრაობისას მ/ს „დელისთან“ მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების და უსაფრთხო გაჩერების მიზნით დაემატა შემდეგი სქემა: ფერდინანდ თავაძის ქ. - სერგო ზაქარიაძის ქ. - ვაჟა ფშაველას I ჩიხი - ვაჟა ფშაველას გამზირი (მ/ს "დელისი"-ს მიმდებარედ).

მარშრუტი №6: სიმონ კანდელაკის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან პეკინის გამზირის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება სიმონ კანდელაკის ქუჩის გავლით, ნაცვლად ბუდაპეშტის და გურამ ფანჯიკიძის ქუჩებისა. აღნიშნულით გაუმჯობესდება სიმონ კანდელაკის ქუჩის სატრანსპორტო მომსახურება.

მარშრუტი №10: ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციიდან და მისი ტერიტორიის ნაწილის საფეხმავლოდ გამოყენებიდან გამომდინარე, მარშრუტებს შეეცვალათ მოძრაობის სქემა და ბოლო გაჩერებას ნაცვლად ხაზინის ქუჩისა, განახორციელებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (“ 2-ის მიმდებარედ). შესაბამისად, თავისუფლების მოედნიდან მოძრაობა განახორციელდება შემდეგი სქემით: ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბართაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - მარცხენა სანაპირო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. (№2-ის მიმდებარედ).

მარშრუტი №16: მარშრუტი მოძრაობს მ/ს „დიდუბიდან“ სოფელი დიღმის გავლით სოფელ დიდგორამდე. სოფელ თელოვანში გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდა M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მოძრაობა. გამომდინარე აღნიშნულიდან, სოფელი თელოვანის სატრანსპორტო მომსახურების მიზნით №16 მარშრუტის მოძრაობაში შედის ცვლილება და მარშრუტის მოძრაობა გაგრძელდება სოფელი თელოვანის მიმართულებით ხოდაბუნების ქუჩის, მირიან მეფე და ნანა დედოფლის I ჩიხისა და ქეთევან დედოფლის ქუჩის გავლით.

მარშრუტი №24: მარშრუტში გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა.

მარშრუტი №29: სიმონ კანდელაკის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება სიმონ კანდელაკის ქუჩის გავლით, ნაცვლად ბუდაპეშტის, გურამ ფანჯიკიძის ქუჩებისა და პეკინის გამზირისა. აღნიშნულით გაუმჯობესდება სიმონ კანდედლაკის ქუჩის სატრანსპორტო მომსახურება.

მარშრუტი №32: მარშრუტში გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა. ასევე, მარშრუტის ცხრილში შეიცვალა მაქსიმალური რაოდენობა და ჩაიწერა 5 ერთეული, როგორც სამუშაო დღეებში, ისე შაბათ-კვირას და უქმე დღეებში.

მარშრუტი №33: მარშრუტში გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა. ასევე, ვარდების რევოლუციის მოედნის ნაცვლად ჩაიწერა პირველი რესპუბლიკის მოედანი.

მარშრუტი №39: მარშრუტის გზასავალზე შეიცვალა ვიქტორ კუპრაძის ქუჩაზე მობრუნების ადგილი და მობრუნდება ვიქტორ კუპრაძის და იოთამ ზედგენიძის ქუჩების გადაკვეთასთან.

მარშრუტი №45: მარშრუტში, გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა.

მარშრუტი №71: მარშრუტის მოძრაობაში განხორციელდა ცვლილებები და კალოუბნის ქუჩას დაუკავშირდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის და გიორგი აბაშვილის ქუჩების გავლით, ნაცვლად თრიალეთის ქუჩისა. ასევე, მარშრუტს განესაზღვრა საწყისი და ბოლო პუნქტები. ამასთან, მარშრუტში სესილია თაყაიშვილის ქუჩის ნაცვლად ჩაიწერა დავით ალექსიძის ქუჩა.

მარშრუტი №73: მარშრუტში მ/ს „ახმეტელის თეატრიდან“ გლდანულას მიმართულებით მოძრაობისას გლდანის დასახლების კენტი მ/რაიონის მიმართულებით მოძრაობისას, გზასავალზე ომარ ხიზანიშვილის ქუჩის ნაცვლად ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა და ომარ ხიზანიშვილის ქუჩაზე გადასვლისთვის დამატებით მიეთითა „მობრუნება გლდანის I მ/რ, კორპუსი “ 9-ის მხრიდან“.

მარშრუტი №83: მარშრუტის გზასავალიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით მოძრაობისას, მოძრაობის სქემიდან ამოღებულ იქნა იაკობ გოგებაშვილის ქუჩა და მოძრაობა ვასილ ბარნოვის ქუჩიდან გაგრძელდა ბოლომდე კოტე მაყაშვილის ქუჩამდე.

მარშრუტი №89: მარშრუტი მ/ს „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიმართულებით მოძრაობისას ნუცუბიძის ქუჩიდან ვაჟა ფშაველას გამზირს დაუკავშირდება მიხეილ ასათიანის ქუჩით, ნაცვლად ფერდინანდ თავაძის, სერგო ზაქარიაძის ქუჩებისა და ვაჟა ფშაველას ჩიხისა. ასევე, მარშრუტის მ/ს „დიდუბის“ მიმართულებით მოძრაობისას, შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ივანე ბერიტაშვილის ქუჩაზე მოძრაობას განახორციელებს ბუდაპეშტის, ტაშკენტის და სიმონ კანდელაკის ქუჩების გავლით, რითაც გაიზრდება უსაფრთხოთების ხარისხი.

მარშრუტი №108: მარშრუტის მოძრაობა სოფელ გლდანში გაგრძელდა ვახტანგ გორგასალის ქუჩის გადაკვეთამდე და ბოლო გაჩერებად განისაზღვრა 26 მაისის და ვახტანგ გორგასალის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორია. ამასთან, მარშრუტს მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაემატა ილია ვეკუას ქუჩა.

ამასთან, პროექტის თანახმად, რიგ მარშრუტებზე იცვლება მოძრავი ერთეულების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობები.

წარმოდგენილი ცვლილებები დადებითად აისახება მოსახლეობის ინტერესებზე და გააუმჯობესებს სატრანსპორტო მომსახურეობის ხარისხს.

ეტაპობრივად, ახალი ავტობუსების დამატების შესაბამისად გავმართავთ მაქსიმალურად მარშრუტებს დედაქალაქის მასშტაბით.

შ.ოგბაიძე - მოხარული ვარ, რომ ცვლილება შეეხო ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მოძრავ №108 მარშრუტს, გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის თხოვნა.

თ.ისაკაძე - აშკარაა უფრო კომფორტული ხდება მოსახლეობისთვის გადაადგილება სხვადასხვა მარშრუტებზე, უსაფრთხოების ხარისხის მაჩვენებლიც გაზრდილია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03193011-03; 27.10.2019)** განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი 3 - „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031931179-03, 07.11.2019):**

ვ. აბულაძე - მოგეხსნებათ, ტაქსების რეგულაცია კვლავ აქტუალურია. სწორედ ამან განაპირობა დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილებები. კერძოდ, მე-8 მუხლის 1-ლ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) მომსახურების გაწევისას სატრანსპორტო საშუალება ვიზუალური შემოწმებით უნდა აკმაყოფილებდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ისე რომ შემმოწმებელი ახდენდეს დადგენილ მოთხოვნებთან აშკარა და ვიზუალურად ნათლად გამოკვეთილი შეუსაბამობის იდენტიფიცირებას, რომლის აღქმაც შესაძლებელია ნებისმიერი პირის მიერ და დაკავშირებული არ არის სპეციალურ/ექსპერტულ ცოდნასთან. ამასთან ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების ძარის ყველა ელემენტი, მათ შორის ბამპერი უნდა იყოს თეთრი ფერის, გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა)“.

ასევე, ცვლილება შედის იმავე მე-8 მუხლის 2^1 პუნქტში და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

2^1. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება სატრანსპორტო საშუალებაზე/საშუალებაში ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება.“

მოქმედი რედაქციის თანახმად, „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება სატრანსპორტო საშუალებაზე, მაგრამ არ იყო ჩანაწერი რომ აღნიშნული ნიშნის განთავსება აკრძალული იყო „სატრანსპორტო საშუალებაში“. ცვლილების შედეგად, უფრო დაკონკრეტდა ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ტარების წესი.

უნდა აღნიშნოს, რომ ამავე წესში შესული ცვლილების შედეგად უფრო დეტალურად გაიწერა უფლებამოსილი პირის ქმედებები. მას ენიჭება უფლებამოსილება სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელოს შემოწმება. ამასთან ერთად, უფლებამოსილ პირს წარმოეშვება ახალი ვალდებულება - შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა.

პროექტის თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება მე-17 მუხლიც, სადაც უფრო დეტალურად არის გაწერილი თუ რა ქმედებები მიიჩნევა უნებართვო საქმიანობად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031931179-03, 07.11.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე